



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-110

04/02/2019

ქ. თბილისი

სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ გზმ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის და ნაკრას თემების ტერიტორიებზე ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების პროექტის სკრინინგის განცხადება.

ნენსკრა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა #60; 02.10.2015წ.

პროექტის მიხედვით, ნენსკრას ჰიდროელექტროსადგური წარმოადგენს მაღალდაწნევიან დერივაციული ტიპის ჰესს დადგმული სიმძლავრით 280 მგვტ. პროექტის განხორციელება დაგეგმილია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. ნენსკრას და მდ. ნაკრას ზედა დინებებში. ჰესის მუშაობა დაგეგმილია მდ. ნენსკრას და მდ. ნაკრას ჩამონადენზე, რისთვისაც გათვალისწინებულია მდ. ნაკრას წყლის ნენსკრას ხეობაში გადაგდება. ჰესის კომუნიკაციები განლაგებული იქნება მდ. ნენსკრას ხეობის 17 კმ სიგრძის მონაკვეთზე და შეიქმნება მაქსიმუმ 725 მ დაწნევა.

ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტი სამინისტროში საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი იყო 2014 წელს. „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მოეწყო აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვა, რომელსაც სხვა დაინტერესებულ საზოგადოებასთან და ორგანიზაციებთან ერთად ესწრებოდა სამინისტროს წარმომადგენელი, რომელმაც საჯარო განხილვაზე წარადგინა სამინისტროს მიერ პროექტთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები. აღნიშნული შენიშვნები ასევე წერილობით გაეგზავნა სს „ნენსკრა ჰიდროს“. 2015 წელს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მომართვის საფუძველზე სამინისტრომ უზრუნველყო „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელება. აღნიშნულ პროექტზე შეიქმნა საექსპერტო კომისია და კომისიის დასკვნის საფუძველზე გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და სს

„ნენსკრა ჰიდროს“ დაუდგინდა სავალდებულოდ შესასრულებელი პირობები. შესაბამისად საქმიანობის განმახორციელებლის მიერ პერიოდულად ხდებოდა სამინისტროში შესაბამისი ანგარიშების წარმოდგენა გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მიზნით.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება 2019 წლის 17 იანვარს განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი (ჭუბერის და ნაკრას თემები) ორგანოების საინფორმაციო დაფებზე.

სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებით ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ წარმოდგენილია შენიშვნები (eia@mepa.gov.ge), რომელიც ძირითადად ეხება სავალუტო ფონდის, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვიდრებული ქსელის და მსოფლიო ბანკის შეფასებებს ნენსკრა ჰესის ფისკალურ საფრთხეებსა და ფისკალურ ხარჯებთან დაკავშირებით. ასევე, აზიის განვითარების ბანკის შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს ანგარიშს. შენიშვნები ასევე ეხება პროექტში დაგეგმილ ცვლილებებს. უნდა აღინიშნოს, რომ დაგეგმილი ცვლილებები ითვალისწინებს 2015 წელს და მის შემდგომ წარმოებული კვლევების შედეგად პროექტის ოპტიმიზაციას. რაც გულისხმობს გეოლოგიურად უფრო მდგრად გარემოში ჰესის ინფრასტრუქტურის განთავსებას. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში და წინამდებარე გადაწყვეტილებაში მოცემულია დასაბუთება თუ რატომ არ საჭიროებს პროექტი გზშ-ს. იმ შენიშვნების შესახებ, რომელთა გათვალისწინება არ მოხდა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, შესაბამისი არგუმენტაციის არარსებობის გამო, დამატებით ეცნობება განმცხადებელს.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ დამატებით ჩატარებულ იქნა დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევები, ბიოლოგიური და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევები და სხვა. ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევების შედეგების საფუძველზე, პროექტის ოპტიმიზაციის მიზნით, მათ შორის გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებით შემუშავდა წარმოდგენილი საპროექტო ცვლილებები.

სკრინინგის განცხადებას თან ერთვის დამატებითი კვლევის ანგარიშები, კერძოდ:

- ზურმუხტის ქსელის კანდიდატ საიტზე ზემოქმედების შესაბამისობის შეფასების ანგარიში და ბუნების კონსერვაციის მნიშვნელოვანი უბნების მონიტორინგზე პასუხისმგებელი უწყების დეკლარაცია (ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასება);
- ნაკრას დამბის და წყალგამტარი გვირაბის განთავსების ტერიტორიის გეოლოგიური პირობები;
- გეოფიზიკური კვლევების ანგარიში;
- ნენსკრას კაშხლის ფილტრაციისა და სადრენაჟო სისტემის შეფასება;
- ნენსკრას კაშხლის გაჟონვის ანალიზი რიცხვითი მოდელირებით;
- ჰიდროლოგიური კვლევის ანგარიში;
- მიმეყვან გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებული რისკები და ექსკავაციის მეთოდები;
- ბუნებრივი კატასტროფები და კაშხლის უსაფრთხოება;

სკრინინგის განცხადება მოიცავს რამდენიმე საპროექტო ცვლილებას, მათ შორის:

- ნენსკრას კაშხლის ღერძის ცვლილება - მარჯვენა ბურჯი გადაადგილება 100 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით, ხოლო მარცხენა ბურჯი 50 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით; კაშხლის ღერძის გადაადგილება ხდება ზედა ბიეფში და შესაბამისად მისი განთავსება მოხდება წყალსაცავის ქვაბულის ფარგლებში, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს ბიოლოგიურ გარემოზე დამატებით უარყოფითი ზემოქმედების რისკებს;
- ნენსკრას კაშხლის სიმაღლე 135 მ-დან შემცირდა 125 მ-მდე და შესაბამისად შემცირდა წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი 3 კმ²-დან 2,7 კმ²-მდე;
- კაშხლის კონსტრუქციის ცვლილება - თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ქვანაყარი კაშხლის ასფალტის გული შეიცვალა ასფალტის ეკრანით;
- ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრის ცვლილება - წარმოდგენილი პროექტით ნენსკრას კაშხლიდან ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრი ორჯერ გაიზარდა (ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობა არ შეცვლილა);
- ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმის გაზრდა - ნენსკრას კაშხლის სამირკველში არსებული ალუვიური ნალექების ეროზიის რისკის შემცირების მიზნით, ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმე ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 65 მ-სა, იქნება 85 მ. ექსკავირებული ქანების რაოდენობა გაიზარდება დაახლოებით 10 000 მ³-მდე. ჰიდროსაიზოლაციო კედლის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, სამშენებლო ინფრასტრუქტურის (ბეტონის კვანძი და სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო) სიმძლავრეების გაზრდა დაგეგმილი არ არის და ემისიების მოცულობების ზრდას ადგილი არ ექნება;
- მცირე შენაკადის დერივაცია - მცირე შენაკადის დერივაციის დროებით შემცირების ან შეწყვეტის მიზნით, გათვალისწინებულია წყალგადასაშვები კაშხლის დიზაინის შეცვლა და წყალსაგდები ნაგებობის დამატება;
- დამატებითი რადიალური საკეტების მოწყობა - მყარი ნატანის წყალგამტარ გვირაბში მოხვედრის რისკის შემცირების, ასევე მყარი ნატანის ქვედა ბიეფში ნატანის ტრანსპორტირების პირობების შენარჩუნების მიზნით, ნაკრას კაშხალზე ორი რადიალური საკეტის დამატება;
- ნაკრას წყალგამტარი გვირაბის ჩამკეტი ფარის მოწყობა-ნაკრას წყალმიმღებიდან, ნენსკრას წყალსაცავში წყლის მიწოდების რეგულირების მიზნით, წყალგამტარი გვირაბის შესასვლელ პორტალთან ჩამკეტი ფარის მოწყობა;
- ნაკრას წყალმიმღების ადგილმონაცვლეობა - საშიში გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების რისკების პრევენციის მიზნით, ნაკრას წყალმიმღების და წყალგამტარი გვირაბის შესასვლელი პორტალის ხეობის ზედა ნიშნულებზე გადანაცვლება დაახლოებით 622 მ-ით;
- ნაკრას წყალმიმღები გვირაბის დიამეტრის ცვლილება, კერძოდ დიამეტრის შემცირება 4,5 მ-დან 3,5 მ-დე;

- ნაკრას თევზსავალის ტიპის შეცვლა-ნაკრას კაშხალზე კიბისებრი თევზსავალის ნაცვლად, დაგეგმილია მდინარის ბუნებრივ კალაპოტთან მიახლოებული თევზსავალის მოწყობა;
- ჰესის შენობის ცვლილება- ჰესის ძალური კვანძის ფართობის შემცირება ტურბინების რაოდენობის შემცირებიდან გამომდინარე (ოპტიმიზაციის პროცესში 4 ტურბინის ნაცვლად გადაწყდა 3 ტურბინის დამონტაჟება).

როგორც სკრინინგის განცხადებაშია მითითებული ზემოაღნიშნული საპროექტო ცვლილებების მიზანია ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების გაუმჯობესება და გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მინიმუმამდე შემცირება.

ნენსკრა ჰესის პროექტით გათვალისწინებულია:

- 125 მ სიმაღლის (2015 წლის დასკვნით გათვალისწინებული იყო 135 მ სიმაღლის კაშხლის მოწყობა) და 870 მ სიგრძის ასფალტით მოსახული ქვანაყარი კაშხალი, რომელიც შექმნის დაახლოებით 176 მლნ მ³ მოცულობის (2015 წლის დასკვნით 182 მლნ მ³) და 2,67 კმ² (2015 წლის დასკვნით 3 კმ²) სარკის ზედაპირის მქონე წყალსაცავს;
- ნენსკრას კაშხლიდან ჰესის შენობაზე წყლის მიწოდება მოხდება 15.1 კმ სიგრძის წყალგამტარი გვირაბის, სადაწნეო შახტის და 1790,8 მ სიგრძის სადაწნეო მილსადენის საშუალებით. საერთო სიგრძიდან 14,7 კმ გვირაბის გაყვანა მოხდება გვირაბგამყვანი მანქანით (TBM), ხოლო 0,4 კმ მონაკვეთის გაყვანა დაგეგმილია ბურღვა-აფეთქებით. ბურღვა-აფეთქების მეთოდით მოხდება, ასევე გამათანაბრებელი შახტის და სადაწნეო შახტის მოწყობა, რაც თავდაპირველი პროექტითაც ასე იყო გათვალისწინებული, რადგან ამ სამუშაოების შესრულების სხვა ტექნოლოგია პრაქტიკულად არ არსებობს. წყალგამტარი გვირაბის წყლის მაქსიმალური სიჩქარე იქნება 3,15 მ³/წმ, რაც შეესაბამება 50 მ³/წმ წყლის ნაკადს. წყალგამტარი გვირაბის დასაწყისში, წყალმიმღებიდან დაახლოებით 300 მ მანძილზე აშენდება ჩამკეტი ფარის კამერა, რომლითაც მოხდება წყალგამტარ გვირაბში შემავალი წყლის ნაკადის მართვა. გვირაბის ბოლოში გათვალისწინებულია 170 მ სიმაღლის და 12 მ შიდა დიამეტრის გამათანაბრებელი შახტის მოწყობა. შახტის ძირითადი ნაწილი (90%) განლაგებული იქნება მიწის ქვეშ, გამათანაბრებელი შახტა ისეა დაპროექტებული, რომ წყლით გადავსება შეუძლებელია. როგორც 2015 წლის პროექტით, ამ შემთხვევაშიც სადაწნეო სისტემა მთელ სიგრძეზე განთავსებული იქნება მიწის ქვეშ;
- ნენსკრა ჰესის ძალური კვანძი (სიგანე 21 მ, სიგრძე 71 მ და სიმაღლე 17 მ) მოეწყობა მდ. ნენსკრას მარცხენა სანაპიროზე, სადაც განთავსებული იქნება პელტონის ტიპის სამი ტურბინა თითოეული 93,3 მგვტ დადგმული სიმძლავრით. გამყვანი არხის სიგანე იქნება 30 მ, სიგრძე 100 მ, სიღრმე 5 მ. ჰესის შენობის გვერდით მოეწყობა SF6 ელეგაზური ქვესადგურის შენობა (სიგანე 13 მ, სიგრძე 30 მ და სიმაღლე 14 მ). ჰესის შენობა განთავსებული იქნება ზღვის დონიდან 715 მ სიმაღლეზე. ტურბინების ღერძის ნიშნული იქნება 705 მ ზღვის დონიდან. 2015 წლის პროექტის მიხედვით, არსებობდა ჰესის ძალური კვანძის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ორი ოჯახის ფიზიკური განსახლების რისკი. საპროექტო ცვლილების მიხედვით, ჰესის შენობა გადაადგილებული იქნა ქვემო ბიეფის მიმართულებით, თავად

შენობის მოცულობა შემცირდა ტურბინების რაოდენობის შემცირების ხარჯზე (დამონტაჟდება სამი ტურბინა ოთხის ნაცვლად), რამაც გამოიწვია სადაწნეო მილსადენის დერეფნის შეცვლა ჰესის შენობის მიმართულულებით. მიღებული საპროექტო ცვლილების შედეგად, ჰესის შენობისათვის შერჩეული ადგილი განთავსებული იქნება ზვავისგან და ნაშალი მასებისაგან დაცულ ტერიტორიაზე. საპროექტო ცვლილების მიხედვით, ძალური კვანძის და სადაწნეო მილსადენის განთავსების ტერიტორიები მნიშვნელოვნად არ სცდება თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებულ დერეფანს, რომელიც შესწავლილია 2015 წლის გზშ-ის ანგარიშში აღსანიშნავია, რომ საპროექტო ცვლილების მიხედვით ჰესის ქვედა ბიეფში გადმონაცვლებით არ ხდება ახალი შეუსწავლელი ტერიტორიის ათვისება და შესაბამისად ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკების გაზრდა მოსალოდნელი არ არის. როგორც სკრინინგის განცხადებაშია მოცემული, დაკავებული ფართობის შემცირების შედეგად ფიზიკურ განსახლებას ადგილი არ ექნება.

ნენსკრას წყალსაცავის შექმნისათვის გათვალისწინებულია ქვანაყარი კაშხლის მოწყობა, რომლის ზედა ფერდი მოპირკეთებული იქნება ასფალტის ფენით. კაშხლის სიგრძე თხემის დონეზე იქნება 870 მ, სიმაღლე საძირკვლიდან ნაცვლად 135 მ-ისა- 125 მ. საძირკვლის მაქსიმალური სიგანე იქნება 450, კაშხლის სრული მოცულობა 12,5 მლნ მ³, ნაცვლად 13,8 მლნ მ³-სა. წყალსაცავის ნორმალური შეტბორვის დონე იქნება 1430 მ ზღვის დონიდან, ხოლო მაქსიმალური შეტბორვის დონე 1435 მ ზღვის დონიდან. მინიმალური მუშა დონე იქნება 1340 მ. წყალსაცავის მხარეს ფერდის ძირში განთავსებული იქნება ჩამკეტი კედელი. ნენსკრას კაშხლისათვის თევზსავალი არ არის გათვალისწინებული, რადგან ისეთი მაღალი კაშხლებისათვის, როგორც არის ნენსკრას საპროექტო კაშხალი, არ არსებობს ეფექტური თევზსავალის მოწყობის ტექნოლოგიები.

წყალსაცავის ამოქმედებიდან შემდეგ, კაშხლის ქვედა ბიეფში, მდ. ნენსკრაში დაახლოებით 2-3 კმ-იან მონაკვეთზე გაივლის მხოლოდ ეკოლოგიური ხარჯი. ექსპლუატაციის პირველ წლებში წყალსაცავში მიმდინარე პროცესების გამო შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს წყალსაცავის წყლის ხარისხის გაუარესებას. რაც გავლენას მოახდენს მდინარის ბიოლოგიურ გარემოზე. აღნიშნული ნეგატიური ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებისათვის, დაგეგმილია ეკოლოგიური ხარჯის შეჩერება. ასეთ შემთხვევაში ეკოლოგიური ხარჯი დროის მოკლე პერიოდის განმავლობაში შეიცვლება სეზონური ნაკადით, რომელიც კაშხლის ახლოს მთის მარჯვენა ფერდობზე არსებული ბუნებრივი ხევიდან მიედინება. 2015 წლის პროექტის მიხედვით, კაშხლის ქვედა ბიეფში მარჯვენა ფერდზე არსებულ აღნიშნულ ბუნებრივი ხევის წყლის გადაგდება გათვალისწინებული იყო ნენსკრას წყალსაცავში. საპროექტო ცვლილების მიხედვით კი ბუნებრივ ხეზე არსებულ დამბაზე დაგეგმილია მხოლოდ სარეგულაციო ფარის მოწყობა, რომლის საშუალებით ხევის წყალი გადაშვებული იქნება მის ბუნებრივ კალაპოტში და მდ. ნენსკრას მიუერთდება კაშხლის ქვედა ბიეფში. ეკოლოგიური ხარჯის წყლის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, თუ დაფიქსირდა ეუტროფიკაციის მაღალი ხარისხი, წყალსაცავიდან აღარ მოხდება ეკოლოგიური ხარჯის გაშვება და ის დროის მოკლე პერიოდში შეიცვლება შენაკადის წყლით. დაგეგმილი ცვლილება გარემოსდაცვითი ღონისძიებაა და ამასთანავე

პრაქტიკულად არაფერი არ შეიცვლება, რადგან ხევის წყალი დაუბრუნდება მის ბუნებრივ კალაპოტს. შესაბამისად საპროექტო ცვლილება ფიზიკურ და ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიურ ზემოქმედებას არ გამოიწვევს, ვინაიდან ხევის წყალი დინებას გააგრძელებს თავის ბუნებრივ ხევში.

მდ. ნაკრას წყლის ნენსკრას წყალსაცავში გადაგდება მოხდება 12,3 კმ სიგრძის (ნაცვლად 12,4 კმ სიგრძის), 3,5 მ დიამეტრის, 45,5 მ³/წმ საპროექტო გამტარუნარიანობის გვირაბით. გვირაბის 11,834 კმ-ის გაყვანა მოხდება გვირაბგამყვანი მანქანით. დანარჩენი ნაწილის გაყვანა დაგეგმილია ბურღვა-აფეთქების მეთოდით. ბურღვა-აფეთქების მეთოდი გამოყენებული იქნება გვირაბის შესასვლელი და გამოსასვლელი პორტალების მოსაწყობად, რაც აუცილებლობას წარმოადგენს TBM-ის გვირაბში შესასვლელად და გამოსასვლელად. გვირაბის ამ მონაკვეთების ბურღვა-აფეთქების მეთოდით გაყვანა გათვალისწინებული იყო ასევე 2015 წლის დასკვნითაც. გვირაბში წყლის გატარება მოხდება თვითდენით. 2015 წლის პროექტთან შედარებით გვირაბის სიგრძე (12.4 კმ) შემცირდა.

ნაკრას წყალმიმღების პროექტში შეტანილი ცვლილების მიხედვით ნაკრას სათავე ნაგებობის გადატანა დაიგეგმა მდინარის ზედა ნიშნულზე. კერძოდ, ნაკრას წყალმიმღების მოწყობა დაგეგმილი იყო ზღვის დონიდან 1493 მ ნიშნულზე, რაზედაც 2015 წელს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და მშენებლობის ნებართვა. მიღებული გადაწყვეტილებით წყალმიმღების მოწყობა გათვალისწინებულია 1552,85 მ ნიშნულზე გეოლოგიურად უფრო მდგრად უბანზე. განსაზღვრულ წერტილებს შორის დაცილება შეადგენს 622 მ-ს. ნაკრას წყალმიმღები წარმოადგენს 46,4 მ საერთო სიგანის და 8,7 მ სიმაღლის ბეტონის დამბას. დამბის მარცხენა ნაპირზე დაპროექტებულია თევზსავალი. ეკოლოგიური ხარჯის (1,2 მ³/წმ) გატარება მოხდება თევზსავალის მეშვეობით. ნაკრას გვირაბის გამოსასვლელი პორტალი განლაგებული იქნება მდ. ნენსკრას მარცხენა ნაპირზე 1 432 მ ნიშნულზე. ბეტონის დამბა მოიცავს ფარებით აღჭურვილ ორ სექციას, რომლის თხემის ნიშნული იქნება ზღვის დონიდან 1555,9 მ-ზე. ზღურბლის ნიშნული მდინარის კალაპოტის ნიშნულზეა, რაც უზრუნველყოფს ნატანის ეფექტურ გარეცხვას ფარების გახსნისას. ნაკრას დამბა გათვალისწინებულია საპროექტო მაქსიმალური ხარჯის 472 მ³/წმ-ის უსაფრთხოდ გატარებისთვის. გარდა ამისა, ფარებით აღჭურვილი სექცია უსწორდება მდინარის კალაპოტის ნიშნულს ისე, რომ შეუფერხებლად მოხდეს მდ. ნაკრას წყლის გატარება და მყარი ნატანის ტრანსპორტირება წყალდიდობის დროს. ნაკადის ენერჯის ჩაქრობა მოხდება ქვედა ბიეფში მოწყობილი ჩამქრობი აუზის მეშვეობით. მაშინაც კი, თუ ტექნიკური გაუმართაობის გამო შეუძლებელი იქნება ფარების გახსნა და წყლის ნენსკრას წყალსაცავში გადაგდება, არანაირი ზიანი არ მიადგება დამბას და მასთან დაკავშირებულ ნაგებობებს. კატასტროფული ხარჯი მთლიანად გატარდება დამბის საშუალებით. წყალმიმღები აღჭურვილია მექანიკური ცხაურებით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება არხში თევზების და დიდი ზომის ნატანის მოხვედრის პრევენცია. წყალმიმღები ასევე აღჭურვილია ორი ფარით ნენსკრას წყალსაცავში წყლის მიწოდების შესაწყვეტად. აღნიშნული ფარები თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა. ნაკრას დამბის მარჯვენა მხარეს გათვალისწინებულია სარეგულაციო სარქველებით აღჭურვილი დაახლოებით 300 მმ დიამეტრის შემოვლითი მილის მოწყობა, რომ

მომავალში ეკოლოგიური ხარჯის გაზრდის შემთხვევაში უზრუნველყოფილ იქნას დამატებითი ხარჯის გატარება და თევზსავალის შეუფერხებელი ოპერირება.

ნაკრას წყალმიმღების თავდაპირველი (2015 წლის) პროექტის მიხედვით, დამბაზე გათვალისწინებული იყო კიბისებური თევზსავალი. საპროექტო ცვლილებების მიხედვით, თევზსავალის მოწყობა დაგეგმილია მარცხენა სანაპიროს ფერდობზე და ის წარმოადგენს მდინარის ბუნებრივ კალაპოტთან მიახლოებულ არხს. თევზსავალის ზედა გასასვლელი მოეწყობა დამბის ზედა ბიეფიდან 130 მ-ის დაცილებით, ზღვის დონიდან 1562,80 მ-ის ნიშნულზე. თევზსავალის წყალმიმღები ნაგებობა მოეწყობა დამბის წყალსაცავის მაქსიმალური დონის ზედა ნიშნულზე, რათა შესაძლებელი იყოს მისი სადერივაციო ნაგებობებისგან დამოუკიდებლად ოპერირება. თევზსავალი ასევე განკუთვნილია ეკოლოგიური ხარჯის (1.2 მ3/წმ) დამბის ქვედა ბიეფში გასაშვებად. თევზსავალი განთავსებული იქნება უშუალოდ წყალმიმღები ნაგებობის განლაგების არეალში. თევზსავალის არხის ძირი დაფარული იქნება მდ. ნაკრას კალაპოტიდან ამოღებული ქვებით და ხრემით, რაც განაპირობებს ბუნებრივ კალაპოტთან მსგავსებას. თევზსავალის სამშენებლო სამუშაოები შესრულებული იქნება წყალმიმღების დამბის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. იქიდან გამომდინარე, რომ შეიცვალა მხოლოდ თევზსავალის ტიპი და არ მომხდარა მისი განთავსების ადგილის ცვლილება, დამატებითი ტერიტორიების გამოყენებას ადგილი არ ექნება.

ნაკრას წყალმიმღების სამშენებლო ბანაკის განთავსების ადგილის ან შემადგენელი კომპონენტების შეცვლას საპროექტო ცვლილებები არ ითვალისწინებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ნაკრას წყალმიმღების ადგილმდებარეობის შეცვლის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული იქნა დამატებით ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე და შეირჩა გეოლოგიურად უფრო მდგრადი ტერიტორია, რის საფუძველზეც დაიგეგმა საპროექტო ცვლილება. როგორც სკრინინგის განცხადებაშია ასახული, საპროექტო ტერიტორიის ზედა და ქვედა ნიშნულებზე წარმოდგენილია ალუვიური კონუსები, სადაც აღინიშნება ახალგაზრდა ხეების პოპულაცია, რაც ზვავების და ღვარცოფების შედეგად, გეომორფოლოგიურ აქტივობაზე მიუთითებს. შესაბამისად, საპროექტო ტერიტორია შეირჩა გეოლოგიური პროცესების განვითარების ნაკლები რისკის თვალსაზრისით.

გამყვანი გვირაბის შესასვლელი პორტალი მდებარეობს მდინარე ნაკრას მარჯვენა სანაპიროზე, ტყით დაფარული ტერიტორიის ცენტრალური ნაწილზე, რაც ღვარცოფული ხევის გამოზიდვის კონუსის პროცესებს საპროექტო უბანს მაქსიმალურად ამორებს.

ნაკრას წყალმიმღების განთავსების ტერიტორიაზე არსებული გეოდინამიკური პროცესების შესწავლის და ჩატარებული მოდელირების შედეგების მიხედვით, შემუშავებული იქნა წყალმიმღები ნაგებობის და გვირაბის შესასვლელი პორტალის დამცავი ნაგებობის ტიპი და ტექნიკური პარამეტრები. როგორც ზემოთ არის აღნიშნული, დამცავი ნაგებობები სრულად უზრუნველყოფს წყალმიმღების და გვირაბის შესასვლელი პორტალის უსაფრთხო ექსპლუატაციას.

გამყვანი გვირაბის გამოსასვლელი პორტალი ნენსკრას ხეობაში, კერძოდ წყალსაცავთან არის განლაგებული. პორტალის განთავსების არეალში ბუნებრივი საფრთხეების რისკები არ ფიქსირდება.

როგორც სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული, წყალმიმღების და ზოგადად სათავე ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები უპირატესად სრულდება მდინარის კალაპოტის და მიმდებარე ფერდობებზე, სადაც როგორც წესი, ნიადაგის ნაყოფიერი ფენა ძალზე მწირადაა წარმოდგენილი და ამ მხრივ საპროექტო ცვლილება, ნიადაგის ნაყოფიერი ფენაზე ზემოქმედების რისკის გაზრდასთან დაკავშირებული არ იქნება. ამასთანავე, სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობა რჩება უცვლელი და შესაბამისად, ამ მხრივ ზემოქმედების ხარისხის ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საპროექტო ცვლილებით გათვალისწინებული წყალმიმღების კონსტრუქცია და მშენებლობის პირობები პრაქტიკულად თავდაპირველი პროექტის იდენტურია, შესაბამისად ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები არ იცვლება.

ნაკრას წყალმიმღების ქვედა ბიეფში გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯის ცვლილება არ ხდება, მაგრამ წყალმიმღების ზედა ნიშნულებზე გადანაცვლებიდან გამომდინარე დაახლოებით 622 მ-ით გაიზრდება პროექტის გავლენის ზონაში მოქცეული მდ. ნაკრას მონაკვეთის სიგრძე, სადაც ადგილი ექნება წყლის დონის შემცირებას (მდინარეში დარჩება მხოლოდ ეკოლოგიური ხარჯი) და მყარი ნატანის ტრანსპორტირების პირობების შეცვლას. აღსანიშნავია, რომ წყალმიმღების ძველ და ახალ საპროექტო გასწორებს შორის მოქცეულ 622 მ-იან მონაკვეთზე წყლის ბიოლოგიურ გარემო პრაქტიკულად იდენტურია თუმცა მდინარის აღნიშნული მონაკვეთზე მოსალოდნელია დამატებითი ზემოქმედება.

2015 წლის პროექტის მიხედვით ნაკრას წყალგამტარი გვირაბის ღერძი კვეთდა, ძველი მარშრუტის დიდი მონაკვეთის გასწვრივ მდებარე ალიბეკის რღვევას, რაც მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს გვირაბის გაყვანის სამუშაოების შესრულების პროცესში.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ნაკრას წყალგამყვანი გვირაბისათვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, შერჩეული იქნა შედარებით უსაფრთხო მარშრუტი. როგორც სკრინინგის განცხადებიდან ირკვევა, წყალგამყვანი გვირაბის მარშრუტი შერჩეულია ისე, რომ გვირაბის გამოსასვლელი პორტალის განთავსების ადგილი მნიშვნელოვნად არ იცვლება, კერძოდ: საპროექტო ცვლილებით გათვალისწინებული პორტალის ადგილი 130 მ-ით იქნება დაცილებული ქვედა დინების მიმართულებით და არ სცდება შესწავლილი და სს „ნენსკრა ჰიდრო“-ს მიერ დარეგისტრირებული ტერიტორიას.

მართალია გვირაბი გაივლის მთის იმ მონაკვეთზე რომელზეც წარმოდგენილია მყინვარი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ გვირაბის გაყვანა მოხდება გვირაბგამყვანი მანქანის გამოყენებით და განთავსებული იქნება მყინვარით დაფარული ზედაპირიდან დიდ სიღრმეზე (≈ 2000 მ), ზემოქმედების რისკი შედარებით ნაკლებია.

კაშხლის კონსტრუქციის ცვლილებასთან დაკავშირებით (ასფალტის გულის ნაცვლად ასფალტის ეკრანის მოწყობა) აღნიშნულია, რომ 2015 წლის პროექტით გათვალისწინებული ასფალტის გულის მოწყობა მოითხოვს გაცილებით ღრმა მიწის სამუშაოებს, მაშინ როდესაც დაგეგმილი ასფალტის ეკრანისათვის

საძირკველის დონე ფაქტიურად ემთხვევა მდინარის კალაპოტის დონეს, შესაბამისად დიდი მოცულობის დაღრმავებითი სამუშაოები საჭირო არ არის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კაშხლის ღერძის გადაადგილება ხდება ზედა ბიეფში და შესაბამისად მისი განთავსება მოხდება წყალსაცავის ქვაბულის ფარგლებში, რაც პრაქტიკულად გამორიცხავს გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების რისკებს.

ნენსკრა ჰესის კომუნიკაციების განთავსების ტერიტორიების ბუნებრივი პირობებიდან გამომდინარე შესაძლო ბუნებრივი რისკებიდან აღსანიშნავია: თოვლის ზვავი, ღვარცოფული ნაკადები, ქვათაცვენა, მეწყრული მოვლენები, კლდეზვავი, წყალდიდობა და მიწისძვრა. სკრინინგის განცხადებას თან ახლავს ბუნებრივი საფრთხეების რისკების შეფასების ანალიზი, სადაც მოცემულია ბუნებრივი საფრთხეების აღწერა, ასევე შესაბამისი გაანგარიშებების და პროგრამული მოდელირების საშუალებით, სხვადასხვა სცენარის მიხედვით შეფასებულია მოსალოდნელი რისკები. მიღებული შედეგების მიხედვით განსაზღვრულია კონკრეტული დამცავი ნაგებობების საინჟინრო გადაწყვეტები და ტექნიკური პარამეტრები. რისკების შეფასება შესრულებულია 30, 100 და 300 წლიანი განმეორებადობის სცენარებისათვის.

პროექტი ითვალისწინებს მდინარეთა კატასტროფული ხარჯების ქვედა ბიეფებში უსაფრთხო გატარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნენსკრას კაშხლის ზედა ბიეფში წარმოქმნილი კატასტროფული ხარჯების დარეგულირება მოხდება ნენსკრას წყალსაცავის საშუალებით, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ნეგატიური ზემოქმედების რისკებს. ნაკრას ხეობაში კაშხლის ქვედა დინებაში ექსტრემალური ხარჯების გატარების რისკი, გარკვეულად შემცირდება, ხარჯის ნაწილის წყალგამყვან გვირაბში გატარებით.

საპროექტო მდინარეების კალაპოტებში გვერდითი შენაკადების მიერ ჩამოტანილი მყარი ნატანის ტრანსპორტირების მიზნით, პროექტი ითვალისწინებს სრული ხარჯების კაშხლების ქვედა ბიეფებში გატარებას, დაგროვილი ნატანის სრულ გარეცხვამდე. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებული იქნება ტექნიკური საშუალებები, რომ ყოველი წყალდიდობის შემდეგ მოხდეს მდინარის კალაპოტის კორექტირება, ნეგატიური ზემოქმედების რისკების მინიმიზაციის მიზნით.

როგორც სკრინინგის განცხადებაშია მოცემული წყალმიმღების და გვირაბის პორტალის განთავსებისათვის საჭირო ტერიტორიის (6 ჰა) ბიოლოგიური და გეოლოგიური გარემოს შესწავლილი იყო როგორც 2015 წლის გზმ-ის ფარგლებში ასევე ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების შესრულებისათვის საჭირო კვლევებისას. ამასთან, 2018 წლის სექტემბერში ჩატარდა ბოტანიკური კვლევა, ფაუნის სახეობების კვლევა და იქტიოფაუნის კვლევები ნაკრას სათაო ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე. ბოტანიკური კვლევისას მცენარეულობის სიხშირე-დაფარულობა შეფასდა დრუდეს შკალის მიხედვით. დრუდეს შკალის სიმბოლოები აღნიშნავს სახეობათა სიხშირე-დაფარულობას. გარდა ამისა, ჩატარებული ბოტანიკური კვლევისას დაფიქსირებულ, ყველა შესწავლილ ჰაბიტატს მიენიჭა EUNIS-ის ჰაბიტატების კლასიფიკაცია. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული დეტალური კვლევის შედეგები.

ჩატარებული საველე კვლევის შედეგების მიხედვით, ნაკრას სათაო ნაგებობის განთავსების არეალში გამოვლენილი იქნა მხოლოდ ერთი საშუალო სენსიტიურობის უბანი, კერძოდ: ნაკვეთი 1. წიფლნარი, EUNIS-ის კატეგორია.

საპროექტო ტერიტორიაზე არ დაფიქსირდა საქართველოს წითელი ნუსხის არცერთი სახეობა. ტერიტორიაზე დაფიქსირდა CITES კონვენციით დაცული მხოლოდ 2 სახეობა: *Cephalanthera rubra* და *Colchicum specioum*.

ფლორასა და მცენარეულ საფარზე ზემოქმედების შემცირების მიზნით დაგეგმილია შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მშენებლობის დასრულების შემდეგ სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარება, ტყის აღდგენის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ჩატარებული კვლევების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია სხვადასხვა სახეობის არსებობის შესახებ. ხოლო საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ფრინველთა სახეობების - ბატკანძერი (*Gypaetus barbatus*), ორბი (*Gyps fulvus*), მთის არწივი (*Aquila chrysaetos*)) საბინადრო ადგილებს საპროექტო ტერიტორიები არ წარმოადგენს, ეს სახეობები ბინადრობს ხეობების მაღალ ნიშნულებზე.

საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობებიდან საკვლევ ტერიტორიაზე დაფიქსირდა ევროპული მაჩქათელა, წავი, მურა დათვი, ფოცხვერი, კავკასიური ციყვი.

სკრინინგის განცხადებაში მოცემული ინფორმაციის თანახმად, ცხოველთა სახეობრივი (მათ შორის დაცული სახეობები) შემადგენლობა არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. ამასთან სამშენებლო სამუშაოების მოცულობების გათვალისწინებით საპროექტო ცვლილებები ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების გაზრდას არ ითვალისწინებს.

იქტიოფაუნაზე ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, ასევე წინა წლებში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის და მონოტირინგის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, მდ. ნაკრას ხეობის საპროექტო მონაკვეთზე ბინადრობს ერთი სახეობა - საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი მდინარის კალმახი (*Salmo trutta morfa fario* Linnaes 1758).

საპროექტო ცვლილებების მიხედვით, თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული კიბისებური თევზსავალის ნაცვლად მოეწყობა მდინარის ბუნებრივ კალაპოტთან მიახლოებული თევზსავალი (შემოვლითი არხი), რომელიც კაშხლის სიმაღლის და მდინარის მარცხენა სანაპიროს რელიეფის გათვალისწინებით უფრო ეფექტური იქნება ვიდრე თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული საფეხურებიანი თევზსავალი. შესაბამისად, საპროექტო ცვლილების შემთხვევაში მოსალოდნელია იქტიოფაუნაზე ზემოქმედების რისკის შემცირება.

ნაკრას წყალმიმღების განთავსების ადგილიდან უახლოეს დაცული ტერიტორიას წარმოადგენს ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბანი სვანეთი 1 (სარეგისტრაციო ნომერი GE0000012). უახლოესი ინფრასტრუქტურა იქნება ნაკრას კაშხალი და ნაკრას წყალმიმღები, რომლებიც მდებარეობს ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბნის სვანეთის საზღვართან 760 მეტრში. პროექტის ძირითადი უბანი - ნენსკრას კაშხლის წყალსაცავიმდებარეობს ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბნის საზღვართან 16 კილომეტრში.

ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბნის ჰაბიტატებზე და ბერნის კონვენციით დაცულ სახეობებზე ზემოქმედების შეფასება (შესაბამისობის შეფასება), შესრულებულია საერთაშორისო ექსპერტების (კომპანია SLR) მიერ. ზურმუხტის ქსელის კანდიდატ უბანზე ზემოქმედების შესაბამისობის შეფასების ანგარიში თან ახლავს სკრინინგის განცხადებას.

ჰიდროლოგიური ქსელის მეშვეობით ზემოქმედების გავრცელების შესაძლებლობა ძალიან მცირე იქნება, რადგანაც პროექტი კანდიდატი ზურმუხტის უბნიდან ქვედა დინებაშია განთავსებული. მგელი, მურა დათვი და ფოცხვერი ხმელეთის ფაუნის ის წარმომადგენლებია, რომელთა საცხოვრებელი არეალი შესაძლოა კანდიდატი ზურმუხტის უბნის საზღვრებს სცდებოდეს. თუმცა, მათი ვრცელი საცხოვრებელი ტერიტორიის გათვალისწინებით, მოცემული და დაგეგმილი პროექტების ჯამური ზემოქმედება, რომელიც დაკავშირებული იქნება ტერიტორიების ათვისებასთან ან შემაწუხებელ ფაქტორებთან, ამ სახეობების საკონსერვაციო სტატუსზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას ვერ იქონიებს.

როგორც სკრინინგის განცხადებაშია აღნიშნული, ნენსკრას ჰესის პროექტი დაგეგმილ ცვლილებასთან ერთად ზემოქმედებას ვერ იქონიებს იმ სახეობებზე, რომლებიც კანდიდატი ზურმუხტის უბნის ნომინირების საფუძველი გახდა.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო დერეფანში და მის უშუალო სიახლოვეს ხილული ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა არ ფიქსირდება. მშენებლობის პროცესში რაიმე არტეფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მშენებელი კონტრაქტორი ვალდებულია მოიწვიოს ამ საქმიანობაზე საქართველოს კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოს სპეციალისტები, არქეოლოგიური ძეგლის მნიშვნელობის დადგენისა და სამუშაოების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის.

სკრინინგის განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით დგინდება, ნენსკრა ჰესის საპროექტო ცვლილებების ჰიდროლოგიური ნაწილი არ მოითხოვს დამატებით გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

მდ. ნენსკრას ხეობაში დაგეგმილი საპროექტო ცვლილებები (ნენსკრა ჰესის კაშხალის და მისი მიმდებარე ტერიტორია), თავისი სპეციფიკისა და მასშტაბებიდან გამომდინარე, არ იწვევს მნიშვნელოვან ზემოქმედებას გეოლოგიურ გარემოზე. რაც შეეხება მდ. ნაკრას ხეობაში დაგეგმილ ცვლილებას, სადაც დაგეგმილია წყალმიმღები ნაგებობის და წყალგამტარი გვირაბის შესასვლელი პორტალის გადატანა მდინარის ზედა ნიშნულებზე (622მ), უნდა აღინიშნოს, რომ წყალმიმღები ნაგებობისა და გვირაბის პორტალისათვის თავდაპირველად (2015წ) შერჩეული უბანი გაცილებით რთულ გეოლოგიურ პირობებში (ტექტონიკური, ლითოლოგიური და გეოდინამიკური თვალსაზრისით) იმყოფება ვიდრე საპროექტო ცვლილების შედეგად შემოთავაზებული ვარიანტი. წყალმიმღები ნაგებობისათვის ამჟამად შერჩეული ტერიტორია გეოლოგიური თვალსაზრისით შესწავლილი იყო 2015 წელს წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში, რაც კარგად ჩანს აღნიშნულ დოკუმენტში არსებულ საინჟინრო-გეოლოგიურ რუკაზეც, რომელიც მოიცავს როგორც თავდაპირველი ვარიანტის, ისე საპროექტო ცვლილების შედეგად შერჩეული წყალმიმღების უბნებს და მათ მიმდებარე ტერიტორიებს. შესაბამისად, ნენსკრა

ჰესის საპროექტო ცვლილებების გეოლოგიური ნაწილი არ მოითხოვს დამატებით გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის და ნენსკრა ჰესის პროექტთან დაკავშირებით განხორციელებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური კვლევების, ბიოლოგიური გარემოს დამატებითი კვლევების გათვალისწინებით, პროექტის ოპტიმიზაციის მიზნით, შემუშავებული ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში დაგეგმილი ცვლილებები არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას. აღნიშნულისა და დადგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებები არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია მშენებლობა და ექსპლუატაცია განახორციელოს ნენსკრა ჰესის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გაცემული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით #60; 02.10.2015წ. დადგენილი პირობების შესაბამისად სკრინინგის განცხადების წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის განახლებული გეგმები.
4. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს ბიომრავალფეროვნების შემარბილებელი ღონისძიებების და მონიტორინგის განახლებული გეგმები;
5. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში უზრუნველყოს მოსალოდნელ რისკებისა და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების განახლებული გეგმის შემუშავება და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა დაგეგმილი ცვლილების გათვალისწინებით;
6. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 6 თვის ვადაში წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით უზრუნველყოს ნაკრას წყალმიმღების ქვედა ბიეფში ეკოლოგიური ხარჯის გაზრდა და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;
7. სს „ნენსკრა ჰიდრომ“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ჰესის სათავე ნაგებობებთან (ნენსკრა, ნაკრა) დონემზომების განთავსება, ხოლო ექსპლუატაციის დაწყებიდან ერთი წლის ვადაში უზრუნველყოს მდინარეების (ნენსკრა, ნაკრა) ხარჯის კვარტალში ერთხელ განსაზღვრა და ინფორმაციის სამინისტროში წარმოდგენა. ექსპლუატაციაში გასვლიდან ერთი წლის შემდეგ, მთელი ექსპლუატაციის პერიოდში განახორციელოს

მდინარეების (ნენსკრა, ნაკრა) ყოველდღიური ხარჯის განსაზღვრა და შედეგების 3 თვეში ერთხელ სამინისტროში წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად დაფიქსირდება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება, ჰესის ოპერირება განახორციელოს სამინისტროს მიერ დადგენილი გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად;

8. სს „ნენსკრა ჰიდრომ“ მშენებლობის დაწყებამდე, სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების წინასწარი გაფრთხილების მიზნით სამინისტროსთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს განგაშის სისტემის დანერგვა;
9. სს „ნენსკრა ჰიდრო“ ვალდებულია მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით განახლებული ნარჩენების მართვის გეგმის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;
10. სს „ნენსკრა ჰიდრო“ სათვის ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2015 წლის 10 თებერვლის #60 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციისას;
11. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „ნენსკრა ჰიდროს“;
12. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „ნენსკრა ჰიდროს“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
13. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და მესტიის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფებზე;
14. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი